ოქმი:**ო37. 37232983**

თარიღი:**27/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლავრენტი ბიგვავას

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,23 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ლავრენტი ბიგვავა არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იგი არის საკრებულოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის, ასევე ფრაქცია“ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი. საკრებულოს წევრის ლ. ბიგვავას მიერ ინიცირებული საკითხებიდან აღსანიშნავია:1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის პროექტი(4-ჯერ საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად);2. საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის 2023-2030 წლების სამოქმედო გეგმა(2-მუხლი); 3.ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური დახმარების გაცემისა და მირღების წესი(1 ქვეპუნქტი);4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის“.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“(2-მუხლი). მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის ერთი პუნქტი, ოზურგეთის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის ცვლილების პროექტი,N4 დაN 5 მუხლები.ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 4 დადგენილება და 3 განკარგულება.

ლავრენტი ბიგვავამ ხაზი გაუსვა მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმულ ძირითად საკითხებს:სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა, გზების სანიაღვრე არხების მოწყობა, საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია,სამკურნალოდ და მედიკამენტების შესაძენად თანადაფინანსების საქმეში შუამდგომლობის გაწევა მერთან,მიწისა და შენობა-ნაგებობების იჯარით მიღების საქმეში დახმარების გაწევა,უსახელო ქუჩების სახელდება და დამისამართება. ისაუბრა აგრეთვე საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ

სხვადასხვა საქმიანობაზე და ასევე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობით მიღებულ შედეგებზე

ლავრენტი ბიგვავამ ანგარიშის დასრულების შემდეგ უპასუხა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს, აღნიშნეს, რომ იგი იყო საინტერესო, შეეხებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სფეროს, ხაზი გაუსვეს, რომ ლავრენტი ბიგვავა მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია. აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლავრენტი ბიგვავას ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი